



ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება

ქალაქი ახალციხე

N 9

26/03/2019

**„ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო
ობიექტთა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2018 წლის 25 ივნისის N50 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ საქართველოს კანონის 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. შევიდეს შემდეგი ცვლილება „ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 ივნისის N50 განკარგულებაში:

ა) განკარგულების პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები შესწორდეს, ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწა - უძრავი ქონება, მდებარე შემდეგ მისამართზე: ახალციხის მუნიციპალიტეტი, სოფელი აწყური, ს/კ 62.04.52.018 დაზუსტებული ფართობი: 443 კვ.მ. და მასზე არსებული ობიექტი N1; N2(ნანგრევი);

გ) არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწა - უძრავი ქონება, მდებარე შემდეგ მისამართზე: ახალციხის მუნიციპალიტეტი, სოფელი აწყური, ს/კ 62.04.52.019 დაზუსტებული ფართობი: 417 კვ.მ. და მასზე არსებული ობიექტი N1(არასაცხოვრებელი);

ბ) განკარგულების პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე“ ქვეპუნქტი:

„ე) არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწა - უძრავი ქონება, მდებარე შემდეგ მისამართზე: ახალციხის მუნიციპალიტეტი, ქ. ახალციხე, ახალციხე-ახალქალაქის გზატკეცილი, ს/კ 62.09.60.963 დაზუსტებული ფართობი: 394 კვ.მ.“

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ახალციხე, მებაღეშვილის ქ. N62).

გელა ნოზაძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო

